მიხეილ ჯიბუტი 70 წლისაა

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, ცნობილ მეცნიერს, პედაგოგს, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ პიროვნებას და მოქალაქეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს **მიხეილ ჯიბუტს** 2024 წლის 11 აპრილს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქცია ულოცავს აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტს 70 წლის იუბილეს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლესა და საქართველოსათვის მისთვის დამახასიათებელი ნაყოფიერი მოღვაწეობის გაგრძელებას.

აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივობა, მისი აქტივობის სპექტრი ძალიან ფართოა, ის ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ მოქმედებათა თანაშეწყობას, რაც ზრდის მის შედეგიანობას და მატებს ცნობადობას მის პიროვნებას. ამასთან, მისი პროფესიული ცხოვრება მკვეთრად განსაზღვრულია, ის მოქცეულია პოლიტეკონომიისა და საქართველოს სოციალურ -ეკონომიკური პრობლემატიკის ფარგლებში.

აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ჟურნალ „ეკონომისტთან“. მიხეილ ჯიბუტი ჟურნალში იბეჭდება ოთხ ათეულ წელზე მეტია. პირველი მისი სტატია „მსოფლიო მეურნეობაში ღირებულების კანონის მოქმედებისა და გამოყენების ზოგიერთი საკითხები“ ჟურნალში დაიბეჭდა 1981 წელს („ეკონომისტი“, №7).

დიდია ბატონ მიხეილის დამსახურება ჟურნალ „ეკონომიკის“ გამოცემის წლის დაზუსტების საქმეში. ჟურნალის გამოცემის წელი არ შეესაბამებოდა ჟურნალ „ეკონომისტის“ იუბილეების აღნიშვნის ჩამოყალიბებულ ტრადიციას. საიუბილეო თარიღებისთვის ათვლის წერტილად აღებული იყო 1925 წლის აგვისტო, ანუ საბჭოთა პერიოდში ჟურნალ „ეკონომისტის“ პირველი ნომრის გამოცემის თარიღი. საბჭოთა პერიოდამდე ეკონომიკური ჟურნალის - „საქართველოს ეკონომისტის“- არსებობა დავიწყებას იყო მიცემული. ის არ მოიხსენიებოდაა პერიოდიკის იმდროინდელ ისტორიაში. მისი ნომრები ამოღებული იყო ბრუნვიდან და ერთადერთი შემორჩენილი კომპლექტი სპეციალური (დახურული) გრიფით იყო დარჩენილი. ამ ფაქტის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანას მიეძღვნა ბატონ მიხეილის სტატია (იხ.:მიხეილ ჯიბუტი. რა ხნისაა ქართული ეკონომიკური ჟურნალი? „მაცნე“.ეკონომიკისა და სამართლის სერია, №1, 1987, გვ.107-108), რომელიც გახდა საფუძველი 1992 წელს აღმდგარიყო ისტორიული სამართლიანობა, როცა ჟურნალი გახდა „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი“. ამ წლიდან ჟურნალ „ეკონომისტს“ ნაცვლად „ჟურნალი გამოდის 1925 წლიდან“, აქვს წარწერა „ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან“. საყურადღებოა, რომ ისტორიული სამართლიანობა ვერ აღდგა საბჭოთა კავშირის კოლაფსამდე. ის შესაძლებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და მიხეილ ჯიბუტის პოლიტიკური მხარდაჭერით.

„საქართველოს ეკონომისტის“ 1918 წლის ნომრები სრული კომპლექტის სახით მხოლოდ ერთი ეგზემპლიარი აღმოჩნდა საქართველოში. იმისათვის რომ თავიდან აგვეშორებინა მისი დაკარგვის საფრთხე და დაძლეული ყოფილიყო შიში შეზღუდული ხელმისაწვდომობისა, ბატონი მიხეილის ინიციატივით გადაწყდა 2018 წ. 13 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ ჟურნალ „ეკონომიკის“ 100 წლისთავზე მკითხველისათვის მიგვეწოდებინა სრული კომპლექტი „საქართველოს ეკონომისტის“ ყველა ნომრებისა რეპროდუქციის სახით,რაც ჩვენ ერთობლივად გავაკეთეთ და რითაც ამ მასალას “მეორე სიცოცხლე”

მიეცა (იხ.: ჟურნალი „ეკონომიკა, N 9, 2018 წ.სპეციალური გამოშვება).

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ პირველი ნომრის გამოცემის თარიღი გახდა აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით დადგენილი „საქართველოს ეკონომისტის დღის“ განსაზღვრის საფუძველი. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 ივლისის №384 დადგენილებაში „საქართველოს ეკონომისტის დღის დაწესების შესახებ“ ნათქვამია, რომ „საქართველოში პირველი ეკონომიკური ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ პირველი ნომრის გამოსვლით 1918 წლის 13 სექტემბერს (სექტემბრის მეორე პარასკევი) დაიწყო პროფესიონალ ეკონომისტთა ფართო ასპარეზზე გამოსვლა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.ამ თარიღის აღსანიშნავად დაწესდეს ყოველი წლის სექტემბრის მეორე პარასკევი საქართველოს ეკონომისტის დღედ” (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/112840).

არანაკლებ აღნიშვნის ღირსია ბატონ მიხეილის თანადგომა ჟურნალ „ეკონომიკის“ შენარჩუნების საქმეში. 1993 წლის ოქტომბრისათვის, მაშინ როდესაც ჟურნალ „ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორობა თქვენს მონა-მორჩილს დამეკისრა, ჟურნალის არსებობა საფრთხის წინაშე იდგა. საქართველოს მთავრობამ უარი თქვა, მანამდე სრულ სახელმწიფო დაფინანსებაზე არსებული ჟურნალის, საბიუჯეტო დაფინანსებაზე. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ბატონ მიხეილის დახმარებით შესაძლებელი გახდა ჟურნალის უწყვეტრივი დაქვემდებარების გზით, მისთვის ნაწილობრივი დოტაციის უზრუნველყოფა, რითაც შევძელით წელიწადში 3-4 ნომრის გამოშვება და არა მარტო შეგვენარჩუნებინა მისთვის დამახასიათებელი თითქმის 80-წლოვანი ტრადიციები, არამედ განგვევითარებინა კიდეც.

ბატონ მიხეილ ჯიბუტისა და ჟურნალის ურთიერთობა არ ყოფილა ცალმხრივი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როდესაც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, პირადად მინისტრის - ბატონ მიხეილ ჯიბუტის დავალებით ჩემი რედაქტორობის საწყის პერიოდში ჟურნალს დაეკისრა საქართველოში შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმის პროექტის პუბლიკაცია, რაც ჟურნალის შესაძლებლობებისა და მასალის სიდიდის გამო არარეალური ჩანდა, ჟურნალმა ეს დავალება შეასრულა, 16 ფორმიანი მასალა გამოქვეყნდა ოპერატიულად, სპეციალური ნომრის სახით (იხ. ჟურნ. „ეკონომიკა“, №12, 1993 წ. 250 გვ.).

ინდიკატური დაგეგმვის სისტემის დანერგვა, ბატონ მიხეილ ჯიბუტის ხელმძღვანელობით, ქართული ეკონომიკური აზროვნების ინოვაციური გარღვევა იყო მთელ პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ სამყაროში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ცენტრალიზებული, გეგმური მეურნეობიდან ინდიკატური დაგეგმვის სისტემაზე გადასვლა დაფიქსირდა სამართლებრივად. საქართველოს გაუჩნდა ქვეყნის განვითარების სტრატეგია, კანონმდებლობით დადგენილი მისი შემუშავებისა და რეალიზების მექანიზმით. შეიქმნა მყარი საფუძველი პროგრამულ - ბიუჯეტურ დაფინანსებაზე გადასვლისათვის. აღნიშნული სისტემის შემოღებით განისაზღვრა ეკონომიკის სამინისტროსა და მასთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა) ინსტიტუციური არსი. სამწუხაროდ, 2004 წელს ჯერ კვლევითი ინსტიტუტი გაუქმდა, ხოლო 2006 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კანონი „ინდიკატური დაგეგმვის შესახებ“. მიხეილ ჯიბუტი ამ პროცესს პიროვნულ უბედურებად აღიქვამს და იმედი აქვს, რომ ქვეყანა დაუბრუნდება სწორ გადაწყვეტილებას და აღადგენს ქვეყანაში სტრატეგიული განვითარების კანონმდებლობასა და შეიმუშავებს მეცნიერებაზე დაფუძნებულ სტრატეგიულ გეგმას.

აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტს მრავალი მიზნის განხორციელება აქვს ჩაფიქრებული. კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ მიხეილს დაბადებიდან 70 წლისთავს და ვუსურვებთ მისი საქმიანობის პროდუქტიულობის გამოყენებით საქართველოს ევროპული პერსპექტივის რეალიზებაში.

რევაზ შენგელია
ჟურნალ „ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი